გიორგი გურჯიევი

შეხვედრები
შესანიშნავ ადამიანებთან

ქართული თარგმანი ეკუთვნის
ვაჟა ნარიმანიძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი, 2023

„შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან“ წარმოადგენს ერთგვარ რემინისცენციას მრავალი „შესანიშნავი ადამიანის“, მათ შორის საკუთარი მამისა, რომელთაც ავტორი თავისი ცხოვრების განმავლობაში შეხვდა. ტექსტში ვრცლად არის აღწერილი მათი წვლილი გურჯიევის პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. საგულისხმოა, რომ ავტორი თითოეულ მათგანს გამოარჩევს განსაკუთრებული გონებით, ნიჭით, სამართლიანობისა და მიმღებლობის უნარით.

წიგნი, რომელსაც ავტორი „გონების ვარჯიშს“ უწოდებდა, არის ავტობიოგრაფიული. მასში სიუჟეტურად თხრობის განვითარება გიორგი გურჯიევის ცხოვრებისეული, ბიოგრაფიული ეპიზოდების თანმიმდევრულია. თუმცა, არსებობს ეჭვი, რომ წინამდებარე ტექსტში აღწერილი „შეხვედრების“ არაერთი ეპიზოდი გამოგონილია და სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

მთარგმნელი: ვაჟა ნარიმანიძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გარეკანის დიზაინერი: დაიანა ღონიაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4968-8

სარჩევი

გამომცემლობისწინასიტყვა.....5

შესავალი.....15

ნაწილი I. მამაჩემი.....39

ნაწილი II. ჩემი პირველი მასწავლებელი.....56

ნაწილი III. ბოგაევსკი.....65

ნაწილი IV. მისტერ იქსი, ანუ კაპიტანი პოღოსიანი.....85

ნაწილი V. აბრამ ელოვი.....115

ნაწილი VI. თავადი იური ლიუბოვეცკი.....124

ნაწილი VII. ეკიმ-ბეი.....184

ნაწილი VIII. პეტრე კარპენკო.....211

ნაწილი IX. პროფესორი სკრიდლოვი.....240

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....333

სამჯერ წაიკითხეთ ყველაფერი, ჩემგან წერილობითი სახით მოწოდებული.

პირველად – თუნდაც ისე, როგორც თქვენ მიჩვეული ხართ, მექანიკურად იკითხოთ თანამედროვე წიგნები და გაზეთები. მეორედ – ისე, თითქოს სხვას უკითხავდეთ; და მხოლოდ მესამედ, შეეცადეთ გაიგოთ ჩემ მიერ დაწერილის არსი.

მხოლოდ ასე შეძლებთ შეიქმნათ თქვენი საკუთარი, მიუკერძოებელი აზრი ჩემი ნაწერების შესახებ. და მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს ჩემი იმედი, რომ თქვენი გაგების შესაბამისად ისეთ სარგებლობას მიიღებთ, როგორსაც სულით და გულით გისურვებთ[1].

*****

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქ ალექსანდროპოლში (დღევანდელი სომხეთის ნაწილი) დაიბადა წინარესაუკუნის გამოჩენილი მისტიკოსი, ეზოტერიკოსი, ფილოსოფოსი, ქრისტიანული მისტიკურ-ანთროპოსოფიური მოძღვრების ავტორი, ოკულტისტი, ალქიმიკოსი, კომპოზიტორი, მუსიკოსი, დიდი ექიმი და უდიდესი ავანტიურისტი – გიორგი გურჯიევი. ბერძნულ-სომხური წარმოშობის საქართველოში მოღვაწე[2] სპირიტუალური მოძღვარი, რომელიც ცნობილი იყო „თეთრი ეშმაკის“ სახელით, გახლდათ ტიბეტელთა სულიერი ლიდერის მასწავლებელი, ჰიტლერისა და სტალინის მრჩეველი, მასონური საზოგადოების წე-

1. გიორგი გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის (წიგნი I), გამომცემლობა „აქტი“, 2023 წ. გვ. 31.

2. ამ ადამიანის ეროვნება და დაბადების თარიღი დღემდე გაურკვეველია, თუმცაღა ცნობილია, რომ იგი დედით სომეხი, მამით კი ბერძენი გახლდათ. ზოგიერთი მის ასირიულ წარმოშობაზეც მიუთითებს, ზოგი კი – ქართულზე... მისი მეტსახელი „გურჯიევი“, სწორედ „ქართველს“ აღნიშნავს.

ვრი, „ადამიანის ჰარმონიული განვითარების სკოლის“ დამფუძ-ნებელი და, უბრალოდ, „ცეკვის მასწავლებელი“[3].

გიორგი გურჯიევის ცხოვრება, ისევე, როგორც მოღვაწეობა, იდუმალებით არის მოცული. ადრეული ასაკიდანვე მოგზაურობდა აღმოსავლეთში, ეწვია საბერძნეთს, ეგვიპტეს, თურქეთს, ავღა-ნეთს, თურქესტანს[4], სადაც ეცნობოდა ადგილობრივ რელიგიურ მოძღვრებებს, მათ შორის სუფიზმს, ბუდიზმსა და აღმოსავლურ ქრისტიანობას. ერთ დროს გურჯიევის მოწაფე და ბიოგრაფი ლუის პაუელსი ახსენებს წყაროებს, რომელთა თანახმადაც, გურჯიევი იყო რუსეთის საიდუმლო აგენტი და იგი მისიით იყო გაგზავნილი ტიბეტში[5].

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შედეგად ევროპაში ერთგვარი ქაოსი სუფევდა. ადამიანებში რწმენა იკა-რგებოდა, ხოლო საზოგადოებები გამოსავალი გზების ძიებაში ახალ-ახალ მიზნობრივ თეორიებსა თუ სხვადასხვა დანიშნულე-ბის პრაქტიკას აყალიბებდნენ. ამასთან, ე.წ. მასონურმა საზოგა-დოებებმა მჭიდროდ მოიკიდა ფეხი დასავლეთში... გიორგი გუ-რჯიევიც იმხანად გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასონთა ლოჟაში ირიცხებოდა (საზოგადოება „ტულე“ და ფრანკმასონური ლოჟა „ბრილი“). გურჯიევს უკვე ჰქონდა წარმოდგენილი საკუ-თარი ფილოსოფიური იდეა – „ახალი ადამიანი“. საზოგადოება „ტულეში“ მაშინ გაწევრიანებული იყვნენ ადოლფ შიკლგრუბერი (ჰიტლერი), ცნობილი ანთროპოსოფი, ეზოტერიკოსი და ფილო-სოფოსი რუდოლფ შტაინერი, ფაშიზმის ეზოტერული მოძღვრე-ბის ავტორი ჰანს ჰორბირგერი და სხვები[6]. თუმცაღა, ვინაიდან ამ

3. გურჯიევს სურდა, რომ მისი გარდაცვალების შემდგომ – რაკი მან საკრა-ლური ცეკვები და მოძრაობები ჩამოაყალიბა – იგი უბრალო ცეკვის მასწა-ვლებლად ხსომებოდათ.

4. იგულისხმება ოსმალური წარმოშობის ქვეყნები.

5. არსებობს იმგვარი მოსაზრებაც, რომ გიორგი გურჯიევის მრავალფეროვან მოგზაურობებს სწორედ სტალინი აფინანსებდა.

6. ცნობისათვის, ცნობილი ქართველი მწერალი და გერმანიაში გადახვეწილი მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე ამ საზოგადოების წევრებს საკმაოდ დაუახლო-ვდა, რის შემდეგაც რობაქიძესა და გურჯიევს შორის მჭიდრო კავშირს ჩაე-ყარა საფუძველი.

შესავალი

იმ დროიდან, როცა ჩემი პირველი წიგნის[1] დაწერა დავასრულე, ერთი თვე გავიდა – პერიოდი, რომელიც ჩემი დასვენებისთვის იყო აუცილებელი. როგორც ამ წიგნის ბოლო თავიდან შეგიძლიათ შეიტყოთ, ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ ამ თვის განმავლობაში სტრიქონს არ დავწერდი. და თუ მივმართავ კიდეც ლიტერატურულ ხელოვნებას, მხოლოდ იმისთვის, რომ წარმოვთქვა სადღეგრძელო, რომელიც ძველი კალვადოსის[2] განსაკუთრებულ თვისებებს აქებს, იმ კალვადოსისა, რომელსაც მე ახლა ღვინოსთან ერთად ვსვამ შატო დიუ პრიერის სარდაფში[3], სასმელისა, რომელიც იმ ადამიანებმა დაამზადეს, რომლებმაც იციან, რაშია ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი.

ჩემი პირველი წიგნის მიმართ მკითხველთა მიერ გამოვლენილი ინტერესით გამხნევებულმა კვლავ ლიტერატურულ შრომას მოვკიდე ხელი. ამჯერად თხრობის უფრო მისაწვდომი ფორმა ავირჩიე, რომელიც ჩემი იდეების აღქმისთვის მომზადებაში დაეხმარება მკითხველს.

ინტელექტუალური განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი თანამედროვე ადამიანის ცნობიერებას უნარი აქვს გარემომცველი სამყარო შეიცნოს მხოლოდ იმ ცალკეული ფაქტების აღ-

---

1. ჩემი პირველი წიგნი – იგულისხმება ავტორის წიგნი, „ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის“. წიგნი ქართულ ენაზე პირველად გამოიცა 2021-22 წლებში გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ ოთხ წიგნად, 2023 წელს კი ორ წიგნად. აქ და შემდგომ წიგნისთვის დართული შენიშვნები ეკუთვნის მთარგმნელს – მთარგმნელის შენიშვნა.

2. კალვადოსი – ვაშლისგან ან მსხლისგან გამოხდილი არყის ტიპის სასმელი საფრანგეთში.

3. შატო დიუ პრიერი – ღვინის სარდაფი საფრანგეთში.

ქმის საშუალებით, რომლებიც ყოველ ჯერზე შემთხვევით თუ განზრახ არის დამახინჯებული, რაც მასში გარემომცველ სინამდვილეზე მცდარ წარმოდგენას ქმნის. ჭარბი და დამახინჯებული ინფორმაციის ნაკადით გამოწვეულ დისჰარმონიას თანდათან სავალალო შედეგები მოაქვს, რომლებსაც იმ ადამიანებმა დააღწიეს თავი, რომლებმაც ამ მავნე გავლენებისგან თავისი ცნობიერების იზოლირება შეძლეს. თანამედროვე ცივილიზაციის გავლენის მიერ მიყენებული ზიანის მტკიცებულებას ყოველ ათწლედში შემცირებული სიცოცხლის ხანგრძლივობა წარმოადგენს.

მეორე წიგნში ვაპირებ მკითხველს შვიდი მცნება გავაცნო, რომელთა პოვნა და გაშიფვრაც ჩემი მრავალი ექსპედიციის დროს მხვდა წილად. მათში ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ჩამოაყალიბეს მათ მიერ შეცნობილი ობიექტური ჭეშმარიტება, რომლის შეფასებაც ჩვენი თანამედროვე ადამიანის ცნობიერებასაც კი შეუძლია. დავიწყებ ჩემ მიერ გაშიფრული ერთი წარწერით, რომელიც იქნება ამოსავალი წერტილი ჩემი თხრობისთვის და ამავე დროს რგოლი, რომელიც წინამდებარე წიგნის ბოლო თავს ამჟამინდელი წიგნის პირველ თავს მიუერთებს.

ეს უძველესი სიბრძნე ამბობს: „მხოლოდ ის არის ადამიანის წოდების ღირსი, ვინც მისთვის მიბარებული ყველა ცხვრის შენარჩუნება შეძლო და, ამავდროულად, მგლები არ დახოცა“.

რა თქმა უნდა, „მგლები“ და „ცხვრები“ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა აღვიქვათ, აქ ისინი გონებისა და გრძნობების სიმბოლოებია. ძველი ხალხები იმ ადამიანს თვლიდნენ ღირსეულად, რომელსაც იმის უნარი ჰქონდა, რომ ადამიანური პიროვნების ამ ორი სხვადასხვაგვარი და მტრული შემადგენლობის „მშვიდობიანი“ თანაარსებობისთვის შეექმნა პირობები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აზიურ ტომებში არსებულ ანდაზებს, გამოცანებსა და იგავებს შორის არის ერთი გამოცანა, რომელშიც ფიგურირებენ მგელი და თხა და რომელიც უკვე ციტირებულ ანდაზას ავსებს.

ჩვენ წინ ისახება ამოცანა: როგორ უნდა გადავიყვანოთ მდინარეზე მგელი, თხა და კომბოსტო, თუ ნავში მხოლოდ ერთი „მგზავრის“ ჩასმა შეიძლება, და ამასთან აუცილებელია მხედველობაში

მივიღოთ, რომ არ შეიძლება მგლის დატოვება თხასთან, და თხის დატოვება კომბოსტოსთან, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგები სავალალო იქნება.

ამ ამოცანის სწორი პასუხი რომ ვიპოვოთ, მხოლოდ საზრიანობა არ არის საკმარისი, ასევე აუცილებელია ადამიანი გამრჯე იყოს, მას ხომ არაერთხელ მოუწევს მდინარეზე გადასვლა.

როდესაც გუშინ პარკში ამ წიგნის, როგორც მე მას ვუწოდე, „გონების ვარჯიშის“ კითხვას ვამთავრებდი, ვერ შევნიშნე, ღამე როგორ ჩამოწვა, და ფონტენბლოს[4] ცნობილმა ცივმა ნისლმა ჩემი ტანსაცმლის ნაკეცებში შეღწევა დაიწყო, ხოლო ნაცრისფერი ფრინველები ჩემს მოტიტვლებულ თავზე სულ უფრო და უფრო ხშირად ტოვებდნენ თავიანთი ცხოველმოქმედების კვალს. შემოქმედის ამ ქმნილებების ასეთი უცერემონიო ქცევით განაწყენებულმა, მათ მაგალითს მივბაძე – არად ჩავაგდე ავტორიტეტთა აზრი და გადავწყვიტე ეს თავი ახალ წიგნში ჩამესვა, მერე კი რაც იქნება, იქნება!

აქ მე აღვწერე ჩემი არცთუ ისე სასიამოვნო შთაბეჭდილებები თანამედროვე ლიტერატორებთან და, რაც კიდევ უფრო უარესია, თანამედროვე ლიტერატურასთან ურთიერთობებიდან. ამასთან დაკავშირებით მინდოდა ამ თავში ჩამესვა ნაწყვეტი ერთი პატივსაცემი სპარსელი მწერლის გამოსვლიდან. ამ მწერალმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინ მე სულ ახალგაზრდა ადამიანი ჩავედი სპარსეთში, და ადგილობრივი ინტელიგენციის კრებაზე დასწრება მომიხდა, რომელზედაც თანამედროვე ლიტერატურის მდგომარეობა განიხილებოდა.

ერთ-ერთი გამომსვლელი უკვე იყო არაახალგაზრდა ინტელიგენტი სპარსელი მწერალი, ინტელიგენტი არა ევროპული, არამედ აზიური გაგებით, ანუ არა მარტო ძალიან განათლებული, არამედ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი.

სხვა რამეების გარდა მან თქვა: „დასანანია, რომ თანამედროვე პერიოდი, რომელსაც ევროპულ ცივილიზაციას უწოდებენ, ასეთი უნაყოფო აღმოჩნდა, რომელსაც ჩვენი შთამომავლებისთვის რაიმე სასარგებლოს გადაცემა არ შეუძლია“.

---

4. ფონტენბლო – ქალაქი და სასახლე საფრანგეთში. აქ: ქალაქი.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ფსიქოანალიზის შესავალი
12. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
13. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
14. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
15. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

16. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
17. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

18. ბერტრან რასელი – ესეები
19. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

20. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
21. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ

23. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
24. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

25. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
27. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
28. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
29. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
30. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

31. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
32. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
33. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
34. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

41. ოშო – ცნობიერების მზე
42. ოშო – საწყისთა საწყისი
43. ოშო – სიყვარულის ძალა
44. ოშო – რა არის მედიტაცია?
45. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

46. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
47. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

48. დ. ჰ. ლოურენსი – ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
49. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

50. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
51. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

52. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
53. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
54. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

55. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
56. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
57. გიორგი გურჯიევი – შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
58. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
59. გიორგი გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის (წიგნი I-IV)

60. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
61. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
62. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

63. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
64. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

65. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
66. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
67. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

68. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
69. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი

70. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
71. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი